ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №42

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

27 აპრილი 2023 წ.
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, გურამ ოქროპირიძე, ანა გოგოლაძე, აკაკი ალადაშვილი, ნინო წულაძე.
მოწვეული სტუმრები:
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე
საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და **წარუდგინა დღის წესრიგი.**
№11-01231112542 საკრ.№15-032311153-03 22/04/23

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.**№11-01231144058 საკრ.№15-03231156-03 25/04/23; №11-01231144058 საკრ.№15-03231156-03 25/04/23**

დღის წესრიგი დამტკიცდა.

კვარტალური გადანაწილების თაობაზე საკითხი, კომისიის წევრებს წარუდგინა **ლევან მიქავამ.**
ლევან მიქავას მოხსენებით, ძირითადი კვარტალური ცვლილება რაც წარმოდგენილია, არის სსიპ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ცვლილება. პროგრამაში „ცხოველთა მონიტორინგი“ (პროგრამული კოდი: 09 02) მეორე კვარტალს ემატება 980 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან. აღნიშნულიდან 399000 ლარი სჭირდებათ ოპერატოული რეაგირების და მონიტორინგის განყოფილების ეკიპეჟებისთვის, 7 ერთეული სამგზავრო ფურგუნიანი ტიპის ავტომანქანის შესასყიდვად, 500 000 ლარი სააგენტოს თავშესაფრის ტერიტორიაზე 3 ცალი 10 ვოლიერიანი შენობის, სასაწყობე შენობის და თავშესაფრის განყოფილების ტერიტორიის სრული პარამეტრის ღობის მშენებლობისთვის და 81 000 ლარი- 4 ერთეული საოპერაციო მაგიდის, 4 ერთეული ინსტრუმენტების მაგიდის, 4 ცალი საოპერაციო მაგიდის სანათის და 4 ცალი სამედიცინო კარადის შესყიდვისათვის.
წარმოდგენილია ასევე რაიონების კვარტალური ცვლილებები.კერძოდ:
ნაძლადევის რაიონში - „გზების მოვლა-შეკეთება“ (პროგ/კოდი : 01 01 09) 73685 ლარის გადატანა ხდება არაფინანსური აქტივებიდან,მუხლში „ მიმდინარე ტრანსფერი, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული“.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 02 09 11) 40 000 ლარი ემატება მეორე კვარტალს, მესამე კვარტლიდან.
ისნის რაიონი- „გზების მოვლა-შეკეთება“ (პროგ/კოდი 01 01 14) 200 000 ლარი ემატება მეორე კვარტალს მეოთხრე კვარტლიდან
კრწანისის რაიონი;
„კეთილმოწყობის ღონისძიებები“ (პროგ/კოდი 05 01 16) მეორე კვარტალს ემატება 500 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დახმარება“ (პროგ/კოდი 05 01 16) მეორე კვარტალს 100 000 ემატება მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.
„სხვა სოციალური დახმარებები“ (პროგ/კოდი 06 02 18 15) 100 000 ლარი ემატება მეორე კვარტალს, მესამე კვარტლიდან.
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური -
„უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტბეის ხელშეწყობა(პროგ/კოდი 07 05 01) მეორე კვარტალს ემატება 90 000 ლარი, მეოთხე კვარტლიდან.
„პანტომიმის თეატრი“ (პროგ/კოდი 08 01 02) მეორე კვარტალს ემატება 10 000 ლარი მესამე და მეოთხე კვარტლებიდან.
საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა იზრდება 1 720 000 ლარით.

მომხრე-6 თავი შეიკავა- ნინო წულაძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საბურთალოს, ისნის, დიდუბის, ვაკის და ჩუღურეთის რაიონული გამგეობები, ასევე ჯანდცვისა და სოციალური მომსახურების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა უმრავლესობით გადაწყვიტეს:
“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილის დანართის შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**